სტატიის გაფორმების წესი:

• სტატიის ენა - ქართული; ინგლისური, რუსული;
• რედაქტორის პარამეტრები Word Windows-ისთვის;
• ფურცლის ზომა A4;
• მინდორი: ზევით-ქვევით - 2 სმ; მარჯვნივ-მარცხნივ - 2სმ.
• შრიფტი -Sylfaen; (ცალკეულ შემთხვევაში AcadNusx- ჰუმანიტარული მეცნიერებები)
შრიფტის ზომა -12;
• სტრიქონებს შორის ზომა -1;
• გვერდების რაოდენობა - 5-10;
სტატიის ტექსტის ფორმატი:
ავტორის სახელი, გვარი - შრიფტის ზომა 12;
სტატიის სახელწოდება - Bold შრიფტის ზომა 14;
სტატიის ტექსტი - შრიფტის ზომა 12; სტრიქონებს შორის მანძილი -1, ველების მანძილი ყველა მხრიდან -2 სმ;

აბსტრაქტი: ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებზე
სათაური [Bold; Sylfaen 12];
მომხსენებელი*/თანაავტორები {მაგ: გიორგი მაისაშვილი1*, ნინო მაისურაძე2,} ფონტი "Sylfaen 11"
დაწესებულება/ორგანიზაცია/უსდ {მაგ: 1XXX უნივერსიტეტი, საქართველო; 2YYY ორგანიზაცია, ესპანეთი;)} ფონტი "Sylfaen 10"
აბსტრაქტი –აბსტრაქტის მოცულობა 100 – 300 სიტყვა. აბსტრაქტი მოკლედ უნდა ასახავდეს კვლევის მიზანს, მთავარ შედეგებსა და ძირითად დასკვნებს. მოერიდეთ ციტირების გამოყენებას. ფონტი "Sylfaen 11"

აბსტრაქტს თან ახლავს მაქსიმუმ **ოთხი საკვანძო სიტყვა** (ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე), რომლებიც მეტ-ნაკლებად ასახავს ნაშრომში განხილულ ძირითად კონცეფციებს. ნუ გამოიყენებთ აბრევიატურებს, ასევე, ზოგად და რამდენიმე კონცეფციის მომცველ სიტყვებს.

ყველა მასალა (სტატია, ხელმძღვანელის/რეკომენდატორის დასკვნა სტუდენტის შემთხვაში) წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონული სახით.
ჟურნალის დამოწმების სტილი/ციტირების სტილი შიდატექსტური დამოწმება ლიტერატურის შიდატექსტური დამოწმება სრულდება შემდეგნაირად:
• კვადრატულ ფრჩხილებში ჩაიწერება ავტორის გვარი, მძიმე, პუბლიკაციის წელი, ორწერტილი და გვერდის ნომერი. მაგ., რისმაგ გორდეზიანის წიგნი "მედიტერანულ-ქართველური მიმართებები". ტომი II. ლოგოსი. თბ., 2007. გვერდი 181. ტექსტში დამოწმებული იქნება შემდეგნაირად:[გორდეზიანი, 2007:181].
• უცხოურენოვანი წიგნის მითითების შემთხვევაში, ავტორის გვარი უნდა მიეთითოს ორიგინალის ენაზე, ხოლო დამოწმების წესი იქნება ისეთივე, როგორიც არის ქართულენოვანი წიგნის მითითებისას. მაგალითად, წიგნი Barry Lord, Gail Dexter Lord. The Manual of Museum Management. Tb.,2006 დამოწმებული იქნება ასე: [Lord, 2006:35].

• ბიბლიის დამოწმება ხდება შემდეგნაირად: კვადრატულ ფრჩხილებში ჩაიწერება დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით ბიბლიური წიგნის შემოკლებული სახელწოდება, წერტილი, თავი, ორწერტილი, მუხლი.ნიმუში: [დაბ. 15:21]; [გამ. 15:16];
• თუ ავტორს ერთსა და იმავე წელს გამოცემული აქვს ორი ან მეტი წიგნი, ავტორის გვარის შემდეგ მიეთითება შესაბამისად A, B და ა.შ. ნიმუში: [გორდეზიანი A, 2007:181].
გამოყენებული ლიტერატურის აღწერის სხვადასხვა სქემა არსებობს. მათ შორის ავტორიტეტულ საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში გამოყენებულია რამდენიმე ბიბლიოგრაფიული სტანდარტი, კერძოდ:
• APA- American Psychological Association (5th ed.):
• Author, A.A., Author, B.B., & Author, C.C. (2005). Title of article. Title of Journal, 10(2), 49-53.
• Council of Biology Editors – CBE 6th, Citation-Sequence
• Author AA, Author BB, Author CC. Title of article. Title of Journal 2005; 10(2):49-53.
• Chicago 15th Edition (Author-Date System)
• Autor, Alan A., B.B. Autor, and C. Autor. 2005. Title of article. Title of Journal 10, (2): 49-53
• Harvard
• Author, A.A., Author, B.B., & Author, C.C. 2005. “Title of article”. Title of
• Journal, vol. 10, no. 2, pp. 49-53.
• Harvard – British Standard
• AUTHOR, A.A., AUTHOR, B.B. and AUTHOR, C.C., 2005. Title of article. Title of Journal, 10 (2), pp. 49-53.
• NLM – National Library of Medicine
• Author AA, Author BB, Author CC. Title of article. Title of Journal. 2005;
• 10(2):49-53.
ბიბლიოგრაფიის მითითება:
სტატიის ბოლოს მითითებული გამოყენებული ლიტერატურის სიაში ან ბიბლიოგრაფიაში გამოცემები დალაგდება ანბანური თანმიმდევრობით ავტორების (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სათაურის) გვარების მიხედვით; ჯერ ქართული, შემდეგ უცხოური გამოცემები.